

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №10

ელექტრონული ტენდერი №SPA180009949

ქალაქი ბაღდათი

15 იანვარი 2019 წელი

ერთის მხრივ,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია

წარმოდგენილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის არჩილ გოგსაძის სახით,

მის: ქ. ბაღდათი, წერეთლის №9

საიდენტიფიკაციო ნომერი: №225064471

ხაზინის ერთიანი ანგარიში:

TRESGE22 ანგარიშის ნომერი:

200122900 (შემდგომში

შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,

შპს „ქუთაისის ავტოტრანსპორტი 2018“

წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე დვალიშვილის სახით,

ქ.ქუთაისი, ნიკვას ქ.,ჩიხი მე-9, №2ა

ს/კ 412733305

„თიბისი ბანკი“

TBCBGE22

GE23TB7501836080100004

(შემდგომში მომწოდებელი)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის, (შპს „ქუთაისის ავტოტრანსპორტი 2018“) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც გაიმარჯვა ტენდერში და ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია“ – მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

- 2.1 ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიებებისათვის სატრანსპორტო მომსახურება.
- 2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში (ფასების ცხრილი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).
- 2.3 კლასიფიკატორის კოდი – 60100000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 10169 (ათი ათას ას სამოცდაცხრა) ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.
- 4.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.
- 4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ დაწუნებული მომსახურების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.
- 4.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

- 5.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია განახორციელოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიებებისათვის სატრანსპორტო მომსახურება, ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
- 5.2 „მიმწოდებელს“ ინფორმაციას მომსახურების საჭიროებაზე „შემსყიდველი“ მიაწვდის ერთი დღით ადრე.
- 5.3. მიკროავტობუს(ებ)ი აღჭურვილი უნდა იყოს მაღალი და რბილი სავარძლებით, გათბობით, კონდიციონერის სისტემით. მიკროავტობუსის ტევადობა უნდა იყოს არანაკლებ 22 ადამიანი.
- 5.4. წვის სისტემა: ქარხნული.
- 5.5 სატრანსპორტო საშუალებას უნდა ჰქონდეს გზისათვის ვარგისობაზე ტესტირების ფირნიში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 5.6. მომსახურების გაწევის პროცესში ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს ტექნიკურად გამართულ და სუფთა მდგომარეობაში
- 5.7. პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის შესახებ ეკისრება „მიმწოდებელს“.
- 5.8 იმ შემთხვევაში, თუ მგზავრობის დროს ტრანსპორტი გამოვა მწყობრიდან მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მწყობრიდან გამოსული ტრანსპორტის ჩანაცვლება სხვა გამართული ტრანსპორტით, ისე რომ არ შეფერხდეს დაგეგმილი მომსახურება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტს მიიღებს ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
- 6.2 „შემსყიდველი“-ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.
- 6.3 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: მომსახურების დასახელება, რაოდენობა (კმ) და ღირებულება.
- 6.4 ფასების ცხრილში მოცემული მომსახურება შესაძლებელია სრულად არ შეისყიდოს „შემსყიდველმა“ და ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ერთეულის ღირებულების შეუცვლელად.

7. ანგარიშსწორება

- 7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებელი“-ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:
- ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება; ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;
 - გ) გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ.-ს ანგარიშფაქტურა (დ.ღ.გ.-ს გადამხდელობის შემთხვევაში).
- 7.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, (გადარიცხვა) ლარებში.
- 7.3 ტრანსპორტირების ათვისების წერტილად ჩაითვლება შემსყიდველის მიერ მითითებული ადგილი, საიდანაც უნდა დაიწყოს ტრანსპორტით მომსახურება და დასრულდება დანიშნულების პუნქტთან (მაგალითად: თუ შემსყიდველი ითხოვს მომსახურებას ქ. თბილისიდან ქ. ბაღდათამდე ან პირიქით და ქალაქ ბათუმიდან ქ. ბაღდათამდე ან პირიქით, იანგარიშება ტრანსპორტირების მხოლოდ ერთი გზა ანუ თბილისი-ბაღდათი, ბათუმი-ბაღდათი და ბაღდათი-თბილისი, ბაღდათი-ბათუმი). დანარჩენი მარშრუტების კილომეტრაჟი დაანგარიშდება ქალაქ ბაღდათიდან-დანიშნულების ადგილამდე და უკან.
- 7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

- 8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
- 8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 8.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია

10.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

10.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა

შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

11.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %- ის ოდენობით.

11.5 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 12.3 და 12.4 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა ჯამში მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.6 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, მხარე გადაიხდის პირგასამტეხლოს, სახელშეკრულებო თანხის 40% -ის ოდენობით.

11.7 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.4 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.8 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის“ დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11.9 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების

შესრულებისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ;

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია 2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ „თვითმმართველი ერთეული ბაღდათის

მუნიციპალიტეტი”

ქ. ბაღდათი, წერეთლის №9

ს.კ 225064471

ერთიანი სახაზინო ანგარიში

TTREG22

200122900

მომწოდებელი:

შპს „ქუთაისის ავტოტრანსპორტი 2018“

ქ.ქუთაისი, ნიკეას მე-9 ჩიხი #2ა

ს/კ 412733305

„თიბისი ბანკი“

TBCBGE22

GE23TB7501836080100004

მუნიციპალიტეტის მერი :

/არჩილ გოგსაძე/

დირექტორი:

/ალექსანდრე დვალიშვილი/

